მაყურებელი უკმაყოფილო ტოვებდა სტადიონს

თბილისი. ”დინამოს” სტადიონი. ? ივლისი.

”დინამო” (თბილისი) – ”გიუნეში” (ქ. ანკარა, თურქეთი) - 2:1 (2:1).

”გიუნეში”: ალდინჩი; დემირაი, ??ურა; მუსტაფა, ილმანი, მიუმტაზი; აიკუტი, ზეკიაი, ფიკრი, იუნალი, ჰალიმი.

”დინამო”: კავაზაშვილი; ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, სიჭინავა, ზეინკლიშვილი; მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი (დათუნაშვილი, ბარქაია).

მსაჯი: ნ. ლატიშევი (მოსკოვი).

ანკარის გუნდი ”გიუნეში” არ წარმოადგენს თურქული ფეხბურთის მშვენებას. ყოველ შემთხვევაში, როცა ახსენებენ ”ბეშიქ??”, ”ფენერბახჩეს”, ”გალატა??”, მათ შორის არ არის ”გიუნეში”. ეს გუნდი მათზე სუსტია. გარდა ამისა, ”გიუნეშმა” სულ ახლახან ითამაშა ბაქოში ადგილობრივ ”ნეფტიანიკთან” და ფრედ დაამთავრა მატჩი - 0:0. ყველაფერი ეს ქმნიდა დინამოელთათვის გამარჯვების ილუზიას, მაგრამ გამარჯვება მოპოვებულ იქნა მხოლოდ დაძაბული და მწვავე ბრძოლის შემდეგ.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ თბილისელებს ზედმეტი თვითდამშვიდების ან მოწინააღმდეგის აბუჩად აგდების გამო გაუჭირდათ მატჩის იოლად მოგება. პირიქით, გუნდი სრული დატვირთვით მუშაობდა და ბოლოს და ბოლოს აბსოლუტურ უპირატესობასაც მიაღწია მინდორზე, მაგრამ, ჯერ ერთი, დაშვებული იქნა მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის შეცდომები, მეორე - დაიკარგა ბურთის გატანის უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობანი და მესამეც - თურქებმა აჩვენეს ბრძოლისუნარიანობის, გამძლეობისა და კარის დაცვის შესანიშნავი მაგალითი.

საინტერესოა ”გიუნეშის” ფეხბურთელთა თამაშის თავისებური მანერა. მთელი მატჩის მანძილზე ვერ ნახავდით რომელიმე მათგანს ცალკე დარჩენილს მოწინააღმდეგის პირისპირ. ყოველთვის და ყველგან, როგორც დაცვაში, ისე შეტევაში და ”ნეიტრალურ” ვითარებაში - მინდვრის შუაგულში, ისინი ნამდვილ სამუშაოს ეწევიან, ფუსფუსებენ, დარბიან, იბრძვიან და ყოველთვის ჯგუფად, ორი-სამი კაცის შემადგენლობით. მათ არ იციან რა არის გრძელი გადაცემა. ბურთი ყოველთვის ეგზავნება პარალელურად მავალ უახლოეს პარტნიორს, ეს კი სულ რამდენიმე მეტრს ნიშნავს. ასეთი სტილი, ბურთის ამგვარი დაქუცმაცებული, განივი მოძრაობა მოწინაღმდეგისათვის საშიში არაა, ვინაიდან, სანამ ფორვარდი ასე ”კიბე-კიბე” მიაღწევს კარამდე, იქ დაცვა სულ იოლად მოასწრებს გადაჯგუფებას და საევაკუაციო ოპერაციებს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ”გიუნეში” თვითონ არ წარმოადგენდა საშიშროებას ”დინამოსათვის”, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა კი საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა.

დამნაშავენი ამაში პირველ ყოვლისა თვით დინამოელები აღმოჩნდნენ. პირველ ტაიმში ისინი აყვნენ თურქებს და 45 წუთის განმავლობაში ასევე შეჯგუფულად, მოკლე გადაცემებით თამაშობდნენ და აუარებელ დროს კარგავდნენ მინდვრის ცენტრში ბრძოლის მოსაგებად. პირველი გოლი საკმაოდ მოულოდნელ სიტუაციაში იქნა გატანილი: მესხმა დაიჭირა ”გიუნეშის” მცველებს შორის გათამაშებული ბურთი, სწრაფად გავიდა წინ, მოატყუა მეკარე და გახსნა ანგარიში - 1:0.

ეს თითქოს გენერალური შეტევის დასაწყისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დინამოელებმა ”მცირეკალიბრიანი” თამაში არ შეცვალეს და კვლავ ჯგუფჯგუფად იბრძოდნენ ტაიმის ბოლომდე.

38-ე წუთზე "დინამოს" კარში გატანილ იქნა გოლი, რომელიც შეიძლება დაცვის უხეში შეცდომის კლასიკურ ნიმუშად გამოდგეს, სრულიად მარტივ და ნათელ პოზიციაში ბურთს თავით ღებულობდა ზეინკლიშვილი. ნახტომში მას "წამოეხმარა" თორაძეც და ნაცვლად შორს მოგერიებისა, ბურთი იქვე დაუვარდა ხოჭოლავას მიერ სავსებით მარტოდ დატოვებულ მარჯვენა გარემარბ აიკუტს. თურქები ეტყობა ასეთ საჩუქარს არ კარგავენ და საპასუხო გოლიც დაუყოვნებლივ იქნა გატანილი - 1:1.

ტაიმის დამთავრებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი და "დინამომ" იგი კარგად გამოიყენა: კალოევმა, იამანიძემ და მელაშვილმა გაითამაშეს შესანიშნავი კომბინაცია, რომელიც უძლიერესი დარტყმით დაამთავრა ამ უკანასკნელმა - 2:1.

მეორე ტაიმში დინამოელებმა შეცვალეს თამაში. თავდასხმა გაიშალა მინდვრის მთელ სიგანეზე, იერიშები წარმოებდა უფრო სწრაფად და ენერგიულად, გრძელი გადაცემები უფრო ადრე აღწევდა დანიშნულების ადგილს და ფორვარდებს შორის მეტი სამოქმედო ადგილი შეიქმნა, მაგრამ თბილისელთა ნახევარდაცვა კვლავინდებურად არაზუსტად და უგეგმოდ თამაშობდა და მოწყვეტილი იყო საკუთარ თავდასხმას.

ძნელია ყველა იმ მომენტის ჩამოთვლა, რომლებიც "დინამოს" ფორვარდებმა დაკარგეს მეორე ტაიმში. ყოველ მათგანს ალბათ თითო ბურთი მაინც უნდა გაეტანა, მაგრამ შეტევის ლოგიკური დასასრული არ ჩანდა. დაიკარგა ისეთი მომენტიც კი, როცა კალოევი სრულიად მარტო დარჩა კარის წინ და აცალა მეკარე ალდიჩს აეღო ბურთი მისი ფეხებიდან სწორედ დარტყმის წინ.

მატჩი "გიუნეშთან" მოგებულ იქნა ანგარიშით 2:1. მაგრამ ერთგვარი უკმაყოფილება ამ მოგებას მაინც დაყვა. კერძოდ ის, რომ ანგარიში იყო 2:1 და არა 4:1, ან 5:1.

რ. ქორიძე.
23 ივლისი, 1959 წ.